ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 3-12/151708-16 26 09 2012 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი-გლდანი, გლდანი „პატარა ვაკე"–ში (ნაკვ.№005/145) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (დამხმარე შენობა-ნაგებობა (საწყობი)) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი-გლდანი, გლდანი „პატარა ვაკე"–ში (ნაკვ.№005/145) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ღობე ნაწილობრივ, ლითონის ნაცვლად მოწყობილია ბლოკით. ნაწილობრივ შეცვლილია ღობის ნახატი.
გაზრდილია საყარაულოს გაბარიტი, დაახლოებით 0.2კვმ-ით. ფანჯარის ნაცვლად მოწყობილია კარ-ფანჯარა. ხოლო კარის ღიობის ნაცვლად, ვიტრაჟი. საყარაულოს ორი კედელი გამოყენებულია ღობედ.
შემცირებულია სანკვანძის გაბარიტი დაახლოებით 11კვ.მ-ით.
სასაწყობე შენობაზე გაზრდილია კოლონების კვეთი დაახლოებით 0.2მ-ით. შემცირებულია სიმაღლე დაახლოებით 0.5მ-ით. შემცირებულია ანტრესოლის ფართი დაახლოებით 120კვ.მ-ით. ანტრესოლის ქვეშ „1-1"; „3-3" და „4-4" ღერძებზე დამატებულია ლითონის კონსტრუქციები. გადახურვის ფილები მოწყობილია სინკარებით. გაზრდილია პარაპეტის სიმაღლე დაახლოებით 0.2მ-ით.
„7-1" ფასადზე „6-5" მონაკვეთში შეცვლილია კარის ნახატი. „5-4" მონაკვეთში ამოშენებულია ფანჯრის ღიობი. „5-1" მონაკვეთში შეცვლილია კარისა და ფანჯრის ღიობების ადგილი, ნახატი და გაბარიტი. ერთი კარის ღიობი შეუვსებელია. შეცვლილია აივნის კონფიგურაცია. შეცვლილია მოაჯირის ნახატი. აივნის ქვეშ დამატებულია ლითონის ორი ბოძი. გადახურვის სინკარები გამოსულია ფასადის სიბრტყიდან. ფასადთან მოწყობილია წყლის შემკრები არხი. გაზრდილია შენობასთან მიმავალი ბეტობის გზის სიგანე დაახლოებით 2მ-ით.
„1-7" ფასადზე ამოშენებულია თორმეტი ფანჯრის ღიობი. გაუქმებულია პარაპეტი მოწყობილია წყლის შემკრები მილი.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მ. მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 23.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „პ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს. „თორიჯორჯია"-ს და დიმიტრი ბოგვერაძეს ქ. თბილისში, სექტორი-გლდანი, გლდანი „პატარა ვაკე"–ში (ნაკვ.№005/145) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (დამხმარე შენობა-ნაგებობა (საწყობი)) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი;

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/151708-16 19.09.2012წ. განცხადება.

უფროსის პირველი მოადგილე ვ. მუჯირიშვილი